<u>სტატიის წარმოდგენისა და გაფორმების წესი</u>

ა. სტატიის წარმოდგენა

სტატიის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 7 000 სიტყვას, რეზიუმეს ჩათვლით.

რეზიუმე წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ და ინგლისურ ენებზე (ცალკე ფაილად). მისი მოცულობა უნდა იყოს არანაკლებ ძირითადი ტექსტის 1/4-ისა.

გამოცემის პროცესში უზუსტობების თავიდან ასაცილებლად, სასურველია, სტატიის ავტორის მიერ დამოწმებული ამონაბეჭდის მოწოდება.

ილუსტრაციების (ფოტოები, სქემები, დიაგრამები, ცხრილები) მაქსიმალური რაოდენობაა 20. ილუსტრაციები წარმოდგენილი უნდა იყოს ელექტრონული სახით. (არანაკლებ 300 dpi. ილუსტრაციები). მათი სია სტატიას ცალკე ფაილად უნდა ერთვოდეს.

სტატია მიიღება როგორც ნაბეჭდი, ისე ელექტრონული სახით (CD-ზე).

ელექტრონული ფაილის სახელწოდებაში მითითებული უნდა იყოს ავტორის გვარი, სახელი, სამუშაო ადგილი (მისამართით). <u>ჟურნალში იბეჭდება მხოლოდ მაგისტრის (მაგისტრთან გათანაბრებული) ან დოქტორის (დოქტორთან გათანაბრებული) აკადემიური ხარისხის მქონე პირთა ნაშრომები.</u>

თითოეული სტატია გადაეგზავნება ორ რეცენზენტს. რეცენზირება ანონიმურია. შედეგები ეცნობება ავტორს. სტატია იბეჭდება დადებითი რეცენზირების შემთხვევაში. <u>ნაშრომის დაბეჭდვა უფასოა.</u>

ბ. სტატიის გაფორმების წესი და ტექსტის ფორმატი

- ფურცლის ზომა A4;
- მინდორი: ზევით-ქვევით - 2 სმ; მარჯვნივ-მარცხნივ - 2 სმ;
- შრიფტის ზომა -12;
- სტრიქონებს შორის მანძილი -1;
- ფურცლის ზომა A4;
- წარმოდგენილი სტატიისთვის გამოყენებული უნდა იქნას შემდეგი ფონტები:

  ქართული - AcadNusx

  ლათინური - Times New Roman

ბერძნული - Graeca II

სხვა ენებისთვის (არაბული, სპარსული, სომხური და ა.შ.) გამოყენებულ უნდა იქნას უნიკოდის ფონტები.

- ლიტერატურა მოცემული უნდა იყოს სტატიის ყოველი გვერდის ბოლოში, სქოლიოს სახით, გაბმული ნუმერაციით.
- სტატიას ბოლოში უნდა ერთვოდეს გამოყენებული ლიტერატურის სია (ბიბლიოგრაფია), დალაგებული ანბანურ რიგზე.

<u>შენიშვნა:</u> სქოლიოს მოთავსება უნდა განხორციელდეს ავტომატურ რეჟიმში, Ctrl+Alt+F ღილაკების კომბინაციის გამოყენებით. დაუშვებელია ტექსტში სქოლიოს ნიშნულისა და გვერდის ბოლოს წყაროს მითითების მექანიკურად შეყვანა.

სქოლიოში ლიტერატურის მითითება უნდა მოხდეს შემდეგი წესის მიხედვით:

ავტორის გვარი (რამდენიმე ავტორის არსებობის შემთხვევაში - ავტორთა გვარები), ნაშრომის გამოცემის წელი, გვერდი. იხილეთ შემდეგი მაგალითი:

აბაშიძე 2002, 54.

ერთი და იგივე ავტორის მიერ ერთსა და იმავე წელს გამოქვეყნებული სხვადასხვა ნაშრომის დამოწმების შემთხვევაში, გამოცემის წელს თან უნდა ერთვოდეს განმასხვავებელი ნიშანი - ქართული ანბანის შესაბამისი ასო (ანბანური თანმიმდევრობის მიხედვით). იხილეთ შემდეგი მაგალითი:

აბაშიძე 2007ა, 197.

აბაშიძე 2007ბ, 200.

გ ა მ ო ყ ე ნ ე ბ ულ ი ლ ი ტ ე რ ა ტ ურ ი ს

მ ი თი თე ბი ს წ ე ს ი

მონოგრაფიის მითითების წესი:

მონოგრაფია დამოწმებული უნდა იყოს შემდეგი თანმიმდევრობით:

- მესხია 1979: მესხია შ. 1979, საშინაო პოლიტიკური ვითარება და სამოხელეო წყობა *XII საუკუნის საქართველოში*, თბილისი

სტატიის მითითების წესი:

სტატია დამოწმებული უნდა იყოს შემდეგი თანმიმდევრობით:

ა. სტატია პერიოდულ გამოცემაში:

- ალექსიძე 1987: ალექსიძე ლ. 1987, საღვთო ნებანი, ანუ "იგავნი" არეოპაგიტული კორპუსის კომენტარებში, *ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი*, 12, 342-350

ბ. სტატია კრებულში:

- Weitzmann 1966: Weitzmann K. 1966, Byzantine Miniature and Icon Painting in the Eleventh Century, in: J. M. Hussey, D. Obolensky and S. Runciman eds., *Thirteenth International Congress of Byzantine Studies*, Main Papers, VII, Oxford, 12-35

წყაროს მითითების წესი:

სტატიაში წყაროების მითითება ხდება საერთაშორისო ნორმების შესაბამისად, იხ. Dumbarton Oaks Papers, Style guide.

წყაროს მითითების ნიმუში:

ფსალმ. 115:14;

PG 93:128D-129B;

Eusebius, Life of Constantine 1.3 (PG 20:345B);

ლეონტი მროველი, ცხოვრება ქართველთა მეფეთა: ლეონტი მროველი, ცხოვრება ქართველთა მეფეთა, ქართლის ცხოვრება, 1955, *ტექსტი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით გამოსცა ს. ყაუხჩიშვილმა*, ტ. I, თბილისი

ლექსიკონებისა და სხვა დამხმარე მასალის მითითების წესი:

სტატიაში ლექსიკონებისა და სხვა დამხმარე მასალის მითითება ხდება საერთაშორისო ნორმების შესაბამისად, იხ. Dumbarto Oaks Papers, Style guide.

ლექსიკონებისა და სხვა დამხმარე მასალის მითითების ნიმუში:

"Nomisma", *Oxford Dictionary of Bysantium*, t. 3, p. 1490 = "Nomisma", *ODB* 3:1490.